



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**



N 24, 2021

სარჩევი

| | |
|--|---|
| ნავთობი და გაზი | 2 |
| აზერბაიჯანი და უკრაინა ერთობლივ ინვესტიციებს განახორციელებენ ნავთობისა და გაზის პროექტებში..... | 2 |
| რუსულ ნავთობს ახალი კონკურენტი გამოუჩნდა..... | 2 |
| ელექტროენერგეტიკა..... | 3 |
| ენერგეტიკოსები ნამოხვანჰესზე პრემიერის უპრეცედენტო გადაწყვეტილებას აფასებენ - „დროულია, მაგრამ ადვილი არ იქნება“..... | 3 |
| “თუ დავინახავთ, რომ 1 იანვარს ბირჟის ამოქმედება ახალ გამოწვევებს წარმოშობს, ვიმსჯელებთ მის შემდგომ გადავადებაზეც” | 3 |
| განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა..... | 4 |
| კონუსისებრი მბრუნავი მზის ბატარეა აგენერირებს 20%-ით მეტ ენერჯიას, ვიდრე ბრტყელი პანელები..... | 4 |
| თვითმფრინავი Phoenix იქნება მსოფლიოში პირველი, თხევად წყალბადზე მომუშავე მოდელი..... | 4 |
| კლიმატის ცვლილება..... | 5 |
| გლობალური კლიმატური კატასტროფა შეიძლება უფრო ახლოს იყოს, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. ახალი კვლევა აჩვენებს, როგორ შეიძლება ეს მოხდეს..... | 5 |
| თბილისი ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის ემზადება - მოსალოდნელია ნაგვის გადასახადის ზრდა | 6 |
| პუბლიკაციები..... | 6 |
| ლონისძიებები | 7 |

ნავთობი და გაზი

აზერბაიჯანი და უკრაინა ერთობლივ ინვესტიციებს განახორციელებენ ნავთობისა და გაზის პროექტებში

აზერბაიჯანი და უკრაინა ერთობლივ ინვესტიციებს განახორციელებენ ნავთობისა და გაზის პროექტებში. აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანში უკრაინის საელჩომ განაცხადა.

შეხვედრას უძღვებოდნენ უკრაინის ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე იაროსლავ დემჩენკო და აზერბაიჯანის ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე კამალ აბასოვი.

მხარეებმა მაღალი შეფასება მისცეს ორმხრივი თანამშრომლობის დონეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ენერგოსექტორში ახალი ერთობლივი პროექტების განხორციელების საკითხს. განისაზღვრა შემდგომი სამოქმედო გეგმებიც.

შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ნავთობის ტრანსპორტირების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელების შესახებ; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო SOCAR-ის საქმიანობის დივერსიფიკაციას უკრაინაში და ნავთობპროდუქტების ბაზარზე აზერბაიჯანული კომპანიის ოპერირების გაფართოებას; ნავთობისა და გაზის სექტორში საინვესტიციო პროექტების ერთობლივ განხორციელებას; გამოცდილების გაცვლას “მწვანე” ენერჯის ინტეგრირების საკითხში; ენერჯის ბაზრების რეგულირების ეფექტური მექანიზმების დანერგვას; ენერგოეფექტურობისა და ენერჯის დაზოგვის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას და სხვ.

მიღწეულ იქნა შეთანხმება 2022 წელს სამუშაო ჯგუფის შემდეგი შეხვედრის ჩატარების შესახებაც.

<https://cutt.ly/Yn0Op9h>

რუსულ ნავთობს ახალი კონკურენტი გამოუჩნდა

რუსული საექსპორტო ნავთობის Urals-თვის კონკურენციის გაწევა ნორვეგიულ Johan Sverdrup,-ს შეუძლია, რომლის მოპოვებაც ასევე ჩრდილოეთ ზღვაში წარმოებს.

”Johan Sverdrup სულ რაღაც წელიწადნახევარია რაც ფუნქციონირებს, მაგრამ ეს არის ნავთობის ყველაზე დიდი ნაკადი – უფრო დიდი, ვიდრე Brent ან Forties–ა და თუ მას დავამატებთ დათარიღებული Brent-ის კალათში, ეს უკვე ნიშნავს მოცულობების სერიოზულ ზრდას,”- აღნიშნავენ ანალიტიკოსები.

მათი აზრით, ამ ეტაპზე ევროპის ქვეყნები აქტიურად არ არიან დაინტერესებული Urals-ით. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ Johan Sverdrup შევა Brent-ის კალათაში, მასზე კონტრაქტების ღირებულება უფრო მაღალი იქნება, ვიდრე რუსულ ანალოგზე.

<https://cutt.ly/Pn0OsJm>

ელექტროენერგეტიკა

ენერგეტიკოსები ნამოხვანჰესზე პრემიერის უპრეცედენტო

გადაწვეტილებას აფასებენ - „დროულია, მაგრამ ადვილი არ იქნება“

ნამოხვანჰესზე პრემიერ-მინისტრის ინიციატივას მოგვიანებით ენერგეტიკოსებიც გამოეხმაურნენ. მათთვის მთავრობის მეთაურის პოზიცია მისაღებია, მაგრამ რამდენად მოხერხდება ყველა მხარისთვის მისაღები პირობების შეთანხმება, ძველი სათქმელია. ჰესი რომ უნდა აშენდეს, ეს უდავოა, მაგრამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა მარტივი არ იქნება.

პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით და პრინციპულად აღნიშნა, რომ ნამოხვანჰესის პრობლემა მემკვიდრეობით დახვდა. მას კომპანია „ენკასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობა არ მოსწონს და ამ ფორმით პროექტის განხორციელება აღარ გაგრძელდება.

„ნამოხვანის პრობლემა, მოგეხსენებათ, მემკვიდრეობით დამხვდა და ამაზე მე აქტიურად ვმუშაობ. იმ პირობებით, რა პირობებითაც დაგხვდა ეს პროექტი - 100 წელი და ასე შემდეგ... მე შემიძლია გითხრა, რომ ასეთი პირობებით ჩვენ არ გავაგრძელებთ ამ პროექტს - ეს ერთი. ჩვენ ინვესტორს ველაპარაკებით და დიდი იმედი მაქვს, დავითანხმებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესების სასიკეთოდ წამოვიყვანოთ ის და კიდევ უფრო უკეთესი პირობებით ავაშენოთ ნამახვანჰესი, რომელიც იქნება საუკეთესო ინტერესების გამტარებელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, მათ შორის ნამოხვანჰესის მოწინააღმდეგე მოქალაქეებისთვის“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პროექტის უსაფრთხოებაზე გააკეთა აქცენტი ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ, რომლის თქმითაც, ნამახვანის კაშხლის მშენებლობა არ დაიწყება მანამ, სანამ მის უსაფრთხოებაში ყველა არ დარწმუნდება.

<https://cutt.ly/Qn0OfTu>

“თუ დავინახავთ, რომ 1 იანვარს ბირჟის ამოქმედება ახალ გამოწვევებს

წარმოშობს, ვიმსჯელებთ მის შემდგომ გადავადებაზეც”

„დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე შევთანხმდით, რომ ენერგეტიკული ბირჟის საკითხთან დაკავშირებით, დაახლოებით 10 დღეში, ცალკე შეხვედრა გაიმართება“, - ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით სონღულაშვილმა „აიპრესთან“ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ენერგეტიკული ბირჟის საკითხისადმი იმდენად დიდია ინტერესი, რომ ცალკე შეხვედრა დაიგეგმა, რომელიც მომდევნო კვირის ბოლოს შედგება.

„საბჭოს წევრები ამ პერიოდში ბირჟისგან, სემეკისგან, ბაზრის მონაწილეებისგან მიიღებენ მაქსიმალურ ინფორმაციას და მომდევნო კვირის ბოლოს უკვე კონკრეტულად მხოლოდ ენერგეტიკული ბირჟის თემაზე შედგება საკონსულტაციო საბჭოს სხდომა სამუშაო შეხვედრის ფორმატში. ამდენად, სადღეისოდ, საბჭოს, საკითხთან დაკავშირებით, რაიმე კონკრეტული რეკომენდაცია არ გააჩნია“, - აღნიშნა მან.

მან ასევე განმარტა, რომ სადღეისოდ ვერ ხედავ იმ რისკს, რომ ენერგეტიკული ბირჟის სრულფასოვანი ამოქმედების თარიღი, რომელიც ნაცვლად 2021 წლის 1 ივლისისა, მთავრობის დადგენილებით უკვე გადავადებულია 2022 წლის 1 იანვრამდე, კიდევ უფრო გადაიწევეს. სონდულაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის წმინდა ტექნიკური საკითხი და სწორედ ამ გადასახედიდან უნდა გაეცეს მას პასუხი.

<https://cutt.ly/Qn0Og6n>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

კონუსისებრი მბრუნავი მზის ბატარეა აგენერირებს 20%-ით მეტ ენერჯიას, ვიდრე ბრტყელი პანელები

ამერიკულმა კომპანიამ V3Solar შექმნა ინოვაციური დანადგარი Spin Cell – კონუსისებრი მზის ბატარეა, რომელსაც, ავტორების განცხადებით, შეუძლია აწარმოოს 20%-ით მეტი ენერჯია, ვიდრე სტატიკურ ბრტყელ პანელებზე განლაგებულ ფოტოელემენტებს.

მბრუნავ „მზის კონუსს“ აქვს 1 მეტრი დიამეტრის საფუძველი, მის ზედაპირზე კი განლაგებული რამდენიმე ასეული ფოტოელემენტი. მთლიანი კონსტრუქცია მოთავსებულია უძრავ ჰერმეტიკულ კონცენტრატორში, რომელიც შედგება მილოვანი ლინზებისაგან, რომლებიც თავის მხრივ ახდენენ მზის გამოსხივების კონცენტრირებას მბრუნავ კონუსზე, და ამით ზრდიან ელემენტების მწარმოებლობას.

ფოტოელექტრული კონუსი Spin Cell ბრუნავს რაიმე მოხახუნე კვანძების და მექანიზმების გარეშე, მაგნიტურ ველში, ხოლო ამ „ლევიტაციის“ სისტემის კვებისათვის გამოიყენება თვით მოწყობილობის მიერ გამომუშავებული ენერჯია. კონუსური ბატარეის ბრუნვის სიჩქარე და სხვა პარამეტრები, რომლებზეც დამოკიდებულია მისი მწარმოებლობა, ავტომატურად რეგულირდება ელექტრონული მოდულით.

V3Solar-ის წარმოდგენილი აცხადებენ, რომ „სპეციალური ლინზების და კონუსური ფორმის მბრუნავი პანელების გამოყენებით შესაძლებელია მზის სხივების 30-ჯერ მეტი რაოდენობის კონცენტრირება, მათი მიმართვით ერთადერთ ბრტყელ ფოტოელექტრულ პანელზე, თბოდანაკარგების გარეშე“.

Spin Cell-ის ექსპლუატაციის და მის მიერ გენერირებული ენერჯიის ღირებულება ნაკლებია ტრადიციულ მზის ბატარეებზე, თუმცა ასეთი მოწყობილობის წარმოების ხარჯები (ელექტრონიკა, მაგნიტები და რთული კონსტრუქცია) უფრო მეტია. ამ ნაკლის აღმოფხვრა დაგეგმილია კონუსისებრი მზის პანელების მასობრივი წარმოების დაწყებით, ამასთან, წარმოებული ენერჯიის დაბალი თვითღირებულება დაფარავს ყველა ხარჯებს.

<https://cutt.ly/Un0OjOy>

თვითმფრინავი Phoenix იქნება მსოფლიოში პირველი, თხევად წყალბადზე მომუშავე მოდელი

დედფტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდმა, რომელიც თავს AeroDelft-ის გუნდს უწოდებს, წარმოადგინა ორადგილიანი თვითმფრინავის Phoenix-ის

პროტოტიპი, რომელიც უნდა გახდეს თხევადი წყალბადზე მომუშავე მსოფლიოში პირველი თვითმფრინავი.

პროტოტიპი, სახელწოდებით Phoenix PT, იკვებება 1500 ვტ საწვავის ელემენტიდან, აკუმულატორის ბატარეასთან ერთად, აფრენის ენერჯის უზრუნველყოფისთვის.

თვითმფრინავს აქვს 5,7 მ ფრთები და იწონის 50 კგ. ელექტროძრავით მომუშავე Phoenix-ს შეუძლია იფრინოს 7 საათის განმავლობაში სულ რაღაც 1 კგ თხევადი წყალბადის გამოყენებით, და დაფაროს 500 კმ-ზე მეტი მანძილი.

წყალბადი ინახება კრიოგენულ ავზში -253°C ტემპერატურაზე და თბება 0°C-მდე მიღების რთული სისტემის გამოყენებით. Phoenix ასევე გამოირჩევა ხმაურის დაბალი დონით.

სრულმასშტაბიანი Phoenix FS, ფრთების სიგრძით 18 მ, იტევს 10 კგ-მდე თხევად წყალბადს, ფრენის სიშორე 2,000 კმ და ფრენის ხანგრძლივობა 10 საათამდე.

მოდელის პირველი საცდელი ფრენა ორი მგზავრით განხორციელდება აიროვან წყალბადზე 2022 წელს, ხოლო პირველი სრულმასშტაბიანი ფრენა თხევად წყალბადზე დაიგეგმა 2024 წელს.

<https://cutt.ly/Nn0OzEb>

კლიმატის ცვლილება

გლობალური კლიმატური კატასტროფა შეიძლება უფრო ახლოს იყოს, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. ახალი კვლევა აჩვენებს, როგორ შეიძლება ეს მოხდეს

ქვემოთ მოცემულია გარემოებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გლობალური კლიმატური კატასტროფა. გრენლანდიის ყინულის ფარმა შეიძლება დაიწყოს დნობის შეუქცევადი პროცესი.

როგორც კი ეს მოხდება, უფრო მეტი მტკნარი წყალი ჩაედინება ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში, რაც კიდევ უფრო შეანელებს ატლანტიკური მერიდიანული ცირკულაცია, წყლის დიდ ნაკადი, რომელსაც გოლფსტრიმს უწოდებენ, რომელიც ტროპიკული რეგიონებიდან წამოსულ სითბოს ანაწილებს.

ატლანტის ნაკადის შესუსტებისთანავე გაიზრდება ამაზონის ტროპიკულ ტყეებში გვალვის ხანგრძლივობის გაზრდის და ტროპიკული ტყეების კვდომის ალბათობა: მთელი რეგიონი შეიძლება შეუქცევადად გადაიქცეს სავანად.

და დაიწყება სამხრეთის ოკეანის გათბობა: ის შეიძლება საკმარისად გათბეს, რათა დააჩქაროს დასავლეთ ანტარქტიდის ყინულის ფარის დაშლა, დააჩქაროს ოკეანის გლობალური დონის აწევა და გააძლიეროს გლობალური დათბობის მთელი მექანიზმი.

<https://cutt.ly/Dn0Ocja>

თბილისი ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის ემზადება - მოსალოდნელია ნაგვის გადასახადის ზრდა

დედაქალაქი ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის ემზადება - ეს ნიშნავს, რომ განცალკევებით უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სახეობის ნარჩენი (პლასტიკი, მინა, ქაღალდი) და შემდეგ გადამუშავდეს. მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების სეპარირება ქვეყანაში 2019 წლიდან უნდა დაწყებულიყო, შესაბამის სტრატეგიაზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს. პროექტს EBRD-ის დაფინანსებით “თბილსერვის ჯგუფი” და დედაქალაქის მერია ახორციელებს.

„თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი - თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების სტრატეგია“ - ასე ჰქვია დოკუმენტს, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა ნაბიჯი, რომლიც დედაქალაქს საბოლოოდ ნარჩენების რაოდენობის შემცირამდე მიიყვანს.

“სტრატეგია უნდა შემუშავდეს წლის ბოლომდე, მისი ნაწილი იქნება სეპარირებული შეგროვების დაწყების თარიღიც: თუ რა ტიპის სეპარირებული ნარჩენების შეგროვებით უნდა დავიწყოთ რეფორმა. ამის შემდეგ გვექნება შესაძლებლობა, რომ მოსახლეობასაც დაველაპარაკოთ, რომელი წლიდან რა სეპარირებაზე გადავიდეთ”, - ამბობს “თბილსერვის ჯგუფის” ხელმძღვანელი რომეო მიქაუტაძე “საქმის კურსთან” საუბრისას.

რა დაუჯდება თბილისს მთლიანობაში რეფორმაზე მუშაობა და შემდეგ მისი იმპლემენტაცია სწორედ სტრატეგიის დოკუმენტმა უნდა განსაზღვროს.

სანამ გადაწყდება, რა მოდელს აირჩევს დედაქალაქი, რამდენი და რა მოცულობის ურნა, სად უნდა დამონტაჟდეს ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის, მანამდე თბილისში ნარჩენების ანალიზი მიმდინარეობს.

<https://cutt.ly/9nDnQYn>

პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგინთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

ლონისძიებები

მსოფლიოს მდგრადი ენერჯეტიკის დღეები (WSED)

თარიღი: 21–25 ივნისი, 2021

ადგილი: ველსი, ავსტრია

ლონისძიების ტიპი: კონფერენცია

<https://www.wsed.at/>

მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021.4.en.2.1.13.html>

მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა "Kostis Palamas"

<https://promitheasconference.wordpress.com/>